გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
05.08.2016	05.08.2016

განხილვის საგანი :	ქონების გამოყენებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	შპს ქლინ სტოპი 405143232
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1422625
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1422625

დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 01.00.167) გამოყენებაზე, მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ: #01.14.06.008.141) სამშენებლო პროექტის შესათანხმებლად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარსადგენად.

საფუძველი:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მთავრობის 2014 წლის 22 დეკემბრის #19-73 დადგენილება.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურს“

შპს „სპორტი-ბიზნესნი“ (ს.კ. 205009346)დირექტორი ილია პაიჭაძე

განცხადება/თანხმობა

მოგახსენებთ, რომ შპს „სპორტი-ბიზნესი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ.#6, საკადასტრო კოდი:01.14.06.008.141, გაცემულია იჯარით, აღნაგობის ფორმით შპს „ქლინ სტოპ“-ზე (405143232) მრავალფუნქციური ობიექტის მოსაწყობად. მიმდინარე წლის 14 ილისს, შპს „ქლინ სტოპ“-ის დირექტორმა პაატა შატბერაშვილმა მოგმართათ განაცხადით #AR1412541 და მოითხოვა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური ობიექტის (კაფე-ბარი, საოფისე, მაღაზია, ავტოსამრეცხაო) პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. თქვენი შუალედური №2706236 გადაწყვეტილებით აღნაგობის ხელშეკრულების 1.1 და 3.1.3 პუნქტების შესაბამისად მოთხოვნილია მიწის მესაკუთრის თანხმობა წარმოდგენილი პროექტად დაკავშირებით, ასევე მოთხოვნილია ტერიტორიაზე არსებული ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეთა თანხმობები. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ვაცხადებთ თანხმობას #AR1412541 განაცხადით წარმოდგენილ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. აქვე მოგახსენებთ, რომ ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების და გაზმომარაგების მილი წარმოადგენს შპს „სპორტი-ბიზნესის“ საკუთრებას, აღნიშნული მილები მოწყობილია წლების წინ და არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. სამშენებლო სამუშაოების წარმოება მოხდება შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობით, რათა არ დავუშვათ აღნიშნული მილების დაზიანება.

დამფუძნებელი სანდრო ცხადაძე (პ/ნ. 01008044767)

დირექტორი ილია პაიჭაძე (პ/ნ. 46001008685)

Scanned by CamScanner